



ISFED

სამართლიანი არჩევნებისა
და დემოკრატიის სამართაშორისო
საზოგადოება

10 ნოემბერი, 2017

2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნები

მეორე ტურის წინასაარჩევნო პერიოდის შეფასება

2017 წლის 21 ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მეორე ტური 12 ნოემბერს ქუთაისის, ოზურგეთის, ბორჯომის, ხაშურის, მარტვილისა და ყაზბეგის ოლქებში გაიმართება. სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება მეორე ტურის წინასაარჩევნო კამპანიის მიმდინარეობას ექვსივე ოლქში გრძელვადიანი დამკვირვებლების მეშვეობით აკვირდებოდა.

დაკვირვების შედეგად გამოიკვეთა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების პირველ და მეორე ტურებს შორის პერიოდი პოლიტიკური ნიშნით მუქარა-ზეწოლისა და ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების ფონზე მიმდინარეობს ოზურგეთში, რაც ხელს უშლის თანასწორ და თავისუფალ წინასაარჩევნო გარემოს.

ოზურგეთის ოლქში ზეწოლა-მუქარის 4 და ამომრჩევლის სავარაუდო მოსყიდვის 1 ფაქტი გამოვლინდა. თითქმის ყველა შემთხვევაში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სხვადასხვა საჯარო მოხელეა ჩართული, რომლებიც „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ მერობის კანდიდატის - ბეგლარ სიორიძის სასარგებლოდ მოქმედებენ. ზოგიერთ შემთხვევაში, „სამართლიანი არჩევნების“ დამკვირვებელთან საუბრისას, ოზურგეთში მცხოვრები მოქალაქეები ადასტურებენ ზეწოლისა და მოსყიდვის ფაქტებს, თუმცა ითხოვენ ანონიმურობის დაცვას. ოზურგეთის გარდა, პოლიტიკური ნიშნით სამსახურიდან გათავისუფლების მუქარის ერთ ფაქტის შესახებ გახდა ცნობილი ხაშურის ოლქში.

აღნიშნული ფაქტებისა და პირველ ტურზე გამოვლენილი ტენდენციების გათვალისწინებით, „სამართლიანი არჩევნები“ მოუწოდებს ადგილობრივ თვითმმართველობას, პოლიტიკურ პარტიებსა და კანდიდატებს - არჩევნების დღეს თავი შეიკავონ ამომრჩევლის მოწყიდვისა თუ ზეწოლისგან, ასევე ნებისმიერი ისეთი ქმედებისგან, რომელიც შესაძლოა აღქმული იქნას ამომრჩევლის ნების კონტროლად, მათ შორის არჩევნებზე მოსული ამომრჩევლების მონაცემების შეგროვებისგან. „სამართლიანი არჩევნები“ ასევე მოუწოდებს საარჩევნო ადმინისტრაციას - უზრუნველყოს ამომრჩევლის პირადი მონაცემების დაცვა და ამომრჩევლის ნების თავისუფალი გამოხატვა.

ზეწოლა-მუქარისა და ამომრჩევლის მოსყიდვის ფაქტები

ოზურგეთი

- ოზურგეთის მერობის დამოუკიდებელი კანდიდატის კონსტანტინე შარაშენიძის საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელმა ირაკლი სირაძემ გაავრცელა ინფორმაცია მათი წარმომადგენლის, გიორგი როყვას მიმართ განხორციელებული ზეწოლის შესახებ. სირაძე თვითმხილველების მიერ

მიწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აცხადებს, რომ 7 ნოემბერს, დაახლოებით 15 საათზე, როყვას სამსახურში მიაკითხეს უცნობმა პირებმა, მანქანაში ჩასვეს და გარკვეული ხნის განმავლობაში ესაუბრებოდნენ.

15:17-ზე, ირაკლი სირაძემ გიორგი როყვასგან რამდენიმე მოკლე ტექსტური შეტყობინება მიიღო. შეტყობინების მიხედვით, როყვასთან ბეგლარ სიორიძე იმყოფებოდა და მას ემუქრებოდნენ. გიორგი როყვა შტაბის ხელმძღვანელს სთხოვდა, ისე მოქცეულიყო, თითქოს როყვას პირადობა არ გადაუცია და არც კამპანიაში ეხმარებოდა დამოუკიდებელ კანდიდატს. როყვა სირაძეს ასევე სთხოვდა, გაეუქმებინა მისი წარმომადგენლობა სოფელ ოზურგეთის #43-ე საარჩევნო უბანზე, რადგან არ უნდა პრობლემები შექმნოდა.

ამასთან დაკავშირებით, შარაშენიძის შტაბის უფროსი ირაკლი სირაძე შტაბის სხვა წევრებთან ერთად გიორგი როყვას სამსახურში მივიდა. სირაძის თქმით, როყვა შეშინებული და აღელვებული იყო, ზეწოლის დეტალებზე არ საუბრობდა და სთხოვდა, რომ ფაქტი არ გაესაჯაროვებინა.

მოგვიანებით, 19:55 წუთზე, „გურია ნიუსის“ ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა ინტერვიუ გიორგი როყვასთან, რომლის მიხედვითაც, როყვა უარყოფს კონსტანტინე შარაშენიძესთან თანამშრომლობას და აღნიშნავს, რომ ის დამოუკიდებელი კანდიდატის წარმომადგენლად მისი თანხმობის გარეშე დაარეგისტრირეს, რის თაობაზეც მეგობრებისგან შეიტყო.¹

საგულისხმოა, რომ გიორგი როყვა 21 ოქტომბრის თვითმმართველობის არჩევნებში თავად იყრიდა კენჭს სოფელ ოზურგეთის თემში „ევროპული საქართველოს“ მაჟორიტარობის კანდიდატად და მასზე კანდიდატურის მოხსნის მოთხოვნით [ზეწოლა პირველი ტურის წინაგ ხორციელდებოდა](#).² ზეწოლის ფაქტი მაშინ კანდიდატმა „სამართლიანი არჩევნების“ წარმომადგენელს დაუდასტურა. ამის მიუხედავად გიორგი როყვას კანდიდატურა არ მოუხსნია და მან არჩევნებზე ხმების 35,6% მიიღო. გავრცელებული ინფორმაციით როყვას მიმართ მეორე ტურის წინ განხორციელებული ზეწოლა იმ გარემოებას უკავშირდება, რომ იგი ამომრჩეველთა მაღალი მხარდაჭერით სარგებლობს და მისი მხარდამჭერები შესაძლოა მეორე ტურში დამოუკიდებელი კანდიდატის პოტენციური მხარდამჭერები გამხდარიყვნენ.

ამჟამად, გიორგი როყვა დამკვირვებლებისა და მედიისთვის მიუწვდომელია, ის არ ჩნდება საჯაროდ. გიორგი როყვას მამა, დავით როყვა „სამართლიანი არჩევნების“ დამკვირვებელთან საუბრისას ოჯახის მიმართ განხორციელებულ ზეწოლას უარყოფს, ხოლო შვილის მიმართ განხორციელებულ ზეწოლაზე ინფორმაციას არ ფლობს და მხოლოდ ის ინფორმაცია აქვს, რაც საჯაროდ გავრცელდა. მისი განცხადებით, 8 ნოემბერს დილით მისი შვილი სახლიდან თავისით გავიდა, თუმცა სად მიდიოდა არ უთქვამს.

- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთმა თანამშრომელმა „სამართლიანი არჩევნების“ დამკვირვებელს განუცხადა, რომ მას და მუნიციპალიტეტის სხვა თანამშრომლებს ბეგლარ სიორიძის კამპანიაში ჩართვას ავალუბენ. მისი თქმით, მუნიციპალიტეტის თანამშრომლებს დავალებული აქვთ გააზიარონ და მოიწონონ ის მასალა, რომელსაც სოციალურ ქსელში მუნიციპალიტეტის მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი, ხათუნა შარაძე გამოაქვეყნებს. ხათუნა შარაძე ამჟამად შვებულებაში იმყოფება და ბეგლარ სიორიძის კამპანიის PR მენეჯერია.

¹იხ. გურია-ნიუსის სტატია: <http://gurianews.com/article/mtavari/politika/gamarkvevinet-saidan-mokhvda-sharashenidzestan-chemi-piradi-monatsemebi-tu-ar-unda-gamoitanen>

²დეტალური ინფორმაცია იხილეთ „სამართლიანი არჩევნების“ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მონიტორინგის II შუალედურ ანგარიშში: <http://www.isfed.ge/main/1285/geo/>

- სოფელ მაკვინეთის მკვიდრი, ელზა ქათამიძე „სამართლიანი არჩევნების“ დამკვირვებელთან საუბრისას ამბობს, რომ 3 ნოემბერს, სადამოს, მის ოჯახში მივიდა „ქართული ოცნების“ კოორდინატორი და მოსთხოვა პირადი ნომერი, მობილურის ნომერი და ინფორმაცია, თუ ვის აძლევს ხმას. ქათამიძემ მას პირადი ინფორმაცია არ მიაწოდა. ამასთან დაკავშირებით, კოორდინატორი დაემუქრა, რომ ამ საკითხზე მას „ვინმე სხვა“ დაუკავშირდება.
- სოფელ მაკვანეთის ერთ-ერთმა მკვიდრმა „სამართლიანი არჩევნების“ დამკვირვებელს განუცხადა, რომ ნოემბრის დასაწყისში მას დაუკავშირდა „ქართული ოცნების“ კოორდინატორი და მიანიშნა, რომ ვინაიდან მისი ახლო ნათესავი მუნიციპალიტეტშია დასაქმებული, არ შეიძლება ის დამოუკიდებელი კანდიდატის, კონსტანტინე შარაშენიძის მხარდამჭერი იყოს.
- მერობის დამოუკიდებელი კანდიდატის, კონსტანტინე შარაშენიძის მხარდამჭერი ერთ-ერთი მოქალაქე ამბობს, რომ მასთან 4 ნოემბრის სადამოს მივიდნენ ოზურგეთის მერიის სოციალურ საქმეთა და ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის უფროსი, თამარ დუმბაძე და მისი მეუღლე, ვლადიმერ ვადაჭკორია, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ჯერ კიდევ მოქმედი საკრებულოს წევრი. თამარ დუმბაძე მოქალაქეს დაპირდა რომ გაზის დავალიანებას გადაუხდიდნენ, თუ ის და მისი მეუღლე მეორე ტურში ხმას ბეგლარ სიორიძეს დაუჭერენ.

ხაშური

ნოემბრის დასაწყისში, „სამართლიანი არჩევნების“ დამკვირვებელს დაუკავშირდნენ ხაშურის მერობის დამოუკიდებელი კანდიდატის რამაზ ნოზაძის საარჩევნო შტაბიდან და მიაწოდეს ინფორმაცია ა(ა)იპ „სავანეში“ მომუშავე გიორგი ზღუდაძის მიმართ განხორციელებული მუქარის შესახებ.

გიორგი ზღუდაძემ პირად საუბარში „სამართლიანი არჩევნების“ დამკვირვებელს განუცხადა, რომ მას სამსახურიდან გათავისუფლებით ემუქრებიან, თუ „ქართული ოცნების“ კანდიდატის გიორგი გურასპაშვილის სასარგებლოდ არ იმუშავენ. ასევე, ზღუდაძის თქმით, მისი მეუღლე, რომელიც საუბნო კომისიის წევრი იყო „ქართული ოცნებიდან“, პარტიამ უკვე გაათავისუფლა.

6 ნოემბერს, „სამართლიანი არჩევნების“ დამკვირვებელი ზღუდაძეს შეხვედრაზე შეუთანხმდა, რათა ინციდენტის დეტალებზე პირისპირ ესაუბრათ, თუმცა მომდევნო დილას დილით ზღუდაძემ შეხვედრის გადადება ითხოვა.

ამ დოკუმენტის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის მხარდაჭერით, შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით. ანგარიშში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის მხოლოდ „სამართლიანი არჩევნების“ და შესაძლოა არ გამოხატავდეს USAID-ის და აშშ მთავრობის შეხედულებებს.



USAID
FROM THE AMERICAN PEOPLE